

+

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს

სხდომის ოქმი N19

ქ. ვანი, თავისუფლების ქ. N65

13.06.2018 წ.

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს სხდომას თავმჯდომარეობდა საკრებულოს თავმჯდომარე - *ალექსანდრე ლილუაშვილი*.

სხდომას ესწრებოდა საკრებულოს ბიუროს 9 წევრი: – ალექსანდრე ლილუაშვილი, გიორგი ივანიაძე, ტარიელ ბარამიძე, გიგა გოგობერიძე, კობა ტოხვაძე, გელა ვარდოსანიძე, გელა ჩიკვაძე, ეთერ ჭიჭინაძე, ვლადიმერ ჭვალაძე.

სხდომას საპატიო მიზეზით არ ესწრებოდა საკრებულოს ბიუროს წევრი: რამაზ არველაძე, კობა მაგნიძე, გელა ღვიტიძე.

(დანართი N1)

სხდომას ასევე ესწრებოდნენ:

საკრებულოს აპარატის იურიდიულ და საორგანიზაციო საკითხთა განყოფილების უფროსი - **ლუიზა ჯოგლიძე**.

საკრებულოს აპარატის უფროსი **კობა მალლაკელიძე**.

საკრებულოს აპარატის იურიდიულ და საორგანიზაციო საკითხთა განყოფილების უფროსის მოადგილე საორგანიზაციო საკითხებში - **ლუბა გოგოძე**.

**მოწვეული პირები:**

მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი - **ივანე მამფორია**.  
მერიის ადმინისტრაციის და შესყიდვების სამსახურის უფროსი - **დავით გაბუნია**  
მერიის ეკონომიკისა და მუნიციპალური ქონების მართვის სამსახურის უფროსი **ზვიად კაპანაძე**.

სხდომა 13<sup>00</sup> საათზე გახსნა საკრებულოს ბიუროს სხდომის თავმჯდომარემ ალექსანდრე ლილუაშვილმა და წარმოადგინა 2018 წლის საკრებულოს 16 ივნისის სხდომის დღის წესრიგი.

## დღის წესრიგი

1. „ვანის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 დეკემბრის N38 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.  
მომხს. /ივანე მამფორია/

2. „ვანის მუნიციპალიტეტის მერიის პოლიტიკურ თანამდებობის პირთა, პროფესიულ საჯარო მოხელეთა 2018 წლის საშტატო ნუსხის, თანამდებობრივი სარგოების ოდენობების დამტკიცებისა და ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის და შრომითი ანაზღაურების განსაზღვრის შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 დეკემბრის N40 დადგენილებით დამტკიცებულ მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურაში ცვლილების შეტანის თაობაზე“

მომხს./დავით გაბუნია/

3. „ვანის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ბინადარი შინაური ცხოველების (ძაღვები და კატები) მოვლა-პატრონობის და მათი პოპულაციის მართვის წესის დამტკიცების შესახებ“  
მომხსენებელი: /გიორგი ივანიძე/

4. „ვანის მუნიციპალიტეტის საპრივატიზებო ობიექტთა ნუსხაში მუნიციპალური საკუთრების ობიექტების შეტანის, საპრივატიზებო ობიექტთა ნუსხაში შეტანილი ობიექტების საწყისი საპრივატიზებო ღირებულების განსაზღვრისა და მუნიციპალური საკუთრების ობიექტების პრივატიზების პროცესის დაჩქარებისა და მოწესრიგების ღონისძიებათა თაობაზე“

მომხს./ზვიად კაპანაძე/

5. სხვადასხვა.

სხდომის თავმჯდომარემ ალექსანდრე ლილუაშვილმა კენჭი უყარა წარმოდგენილ საკრებულოს სხდომის დღის წესრიგს.

ღია კენჭისყრის შედეგი იყო შემდეგი:

მომხრე - 9

წინააღმდეგი-არცერთი

ბიუროს წევრი .

დღის წესრიგით წარმოდგენილ პირველ საკითხზე მომხსენებელმა ივანე მამფორიამ წარმოადგინა დადგენილების პროექტი „ვანის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 დეკემბრის N38 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.(დანართი N2)

მომხსენებელმა მოკლედ აღნიშნა, რომ დადგენილების პროექტის მიხედვით, მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობების და გადასახდელების მოცულობა იზრდება 80,000ლარით, საკუთარი შემოსულობების ნაწილში.

ბიუროს წევრების მხრიდან შენიშვნები არ დაფიქსირებულა.

ბიუროს სხდომის თავმჯდომარემ ალექსანდრე ლილუაშვილმა კენჭი უყარა დღის წესრიგის პირველ საკითხს.

ღია კენჭისყრის შედეგი იყო შემდეგი:

მომხრე -9

წინააღმდეგი-არცერთი.

ბიუროს წევრი.

ბიუროს წევრებმა მიიღეს გადაწყვეტილება აღნიშნული საკითხი შეტანილი იქნას საკრებულოს 2018 წლის 13 ივნისის საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში.

დღის წესრიგით წარმოდგენილ მეორე საკითხთან დაკავშირებით დავით გაბუნიაშვილმა წარმოადგინა დადგენილების პროექტი „ვანის მუნიციპალიტეტის მერიის პოლიტიკურ თანამდებობის პირთა, პროფესიულ საჯარო მოხელეთა 2018 წლის საშტატო ნუსხის, თანამდებობრივი სარგოების ოდენობების დამტკიცებისა და ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის და შრომითი ანაზღაურების განსაზღვრის შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 დეკემბრის N40 დადგენილებით დამტკიცებულ მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ (დანართი N3)

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ შესყიდვების სამსახური გადავიდა ადმინისტრაციულ სამსახურში, ამიტომ იურიდიული განყოფილება მოემსახურება მათ. იურისტი რომელიც მუშაობდა ამ განყოფილებაში დაინიშნა ვანის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციულ ერთეულის წარმომადგენლად ამალეების თემში. ხოლო შტატი განისაზღვრა , როგორც შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირი.

ბიუროს წევრების მხრიდან შენიშვნები არ დაფიქსირებულა.

ბიუროს სხდომის თავმჯდომარემ ალექსანდრე ლილუაშვილმა კენჭი უყარა დღის წესრიგის მეორე საკითხს.

ღია კენჭისყრის შედეგი იყო შემდეგი:

მომხრე -9

წინააღმდეგი-არცერთი.

ბიუროს წევრი.

ბიუროს წევრებმა მიიღეს გადაწყვეტილება აღნიშნული საკითხი შეტანილი იქნას საკრებულოს 2018 წლის 13 ივნისის საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში.

დღის წესრიგით წარმოდგენილ მესამე საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა გიორგი ივანიაძემ წარმოადგინა დადგენილების პროექტი „ვანის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ბინადარი შინაური ცხოველების (ძაღვები და კატები) მოვლა-პატრონობის და მათი პოპულაციის მართვის წესის დამტკიცების შესახებ“ (დანართი N4)

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ჩვენ გვაქვს დამტკიცებული ძაღვების და კატების მოვლა-პატრონობის წესი, ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 24 აპრილის N20 დადგენილებით, მაგრამ მოგვივიდა ახალი დებულება, რომელიც დამუშავებული იქნა და ამიტომ ძველი დადგენილება უნდა გამოვაცხადოთ ძალადაკარგულად და დავამტკიცოთ ახალი.

ბიუროს წევრების მხრიდან შენიშვნები არ დაფიქსირებულა.

ბიუროს სხდომის თავმჯდომარემ ალექსანდრე ლილუაშვილმა კენჭი უყარა დღის წესრიგის მესამე საკითხს.

ღია კენჭისყრის შედეგი იყო შემდეგი:

მომხრე -9

წინააღმდეგი-არცერთი.

ბიუროს წევრი.

ბიუროს წევრებმა მიიღეს გადაწყვეტილება აღნიშნული საკითხი შეტანილი იქნას საკრებულოს 2018 წლის 13 ივნისის საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში.

დღის წესრიგით წარმოდგენილ მეოთხე საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა ზვიად კაპანაძემ წარმოადგინა განკარგულების პროექტი „ვანის მუნიციპალიტეტის საპრივატიზებო ობიექტთა ნუსხაში მუნიციპალური საკუთრების ობიექტების შეტანის, საპრივატიზებო ობიექტთა ნუსხაში შეტანილი ობიექტების საწყისი საპრივატიზებო ღირებულების განსაზღვრისა და მუნიციპალური საკუთრების ობიექტების პრივატიზების პროცესის დაჩქარებისა და მოწესრიგების ღონისძიებათა თაობაზე“ (დანართი N5)

მომხსენებელმა წარმოადგინა საპრივატიზებო ობიექტთა ნუსხა, კერძოდ 6 ავტომობილი და მათი საწყისი ფასები.

ბიუროს წევრების მხრიდან შენიშვნები არ დაფიქსირებულა.

ბიუროს სხდომის თავმჯდომარემ ალექსანდრე ლილუაშვილმა კენჭი უყარა დღის წესრიგის მეოთხე საკითხს.

ღია კენჭისყრის შედეგი იყო შემდეგი:

მომხრე -9

წინააღმდეგი-არცერთი.

ბიუროს წევრი.

ბიუროს წევრებმა მიიღეს გადაწყვეტილება აღნიშნული საკითხი შეტანილი იქნას საკრებულოს 2018 წლის 13 ივნისის საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში.

დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხში „სხვადასხვა“ საკრებულოს იურიდიული სამანდატო, საპროცედურო საკითხებისა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარემ გელა ჩიკვაიძემ წარმოადგინა „ვანის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების და ვანის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ დაფუძნებული პირების საკუთრებაში არსებული (ბალანსზე რიცხული) ქონების ინვეტარიზაციისა და ამორტიზებული ან/და გამოუყენებელი ქონების ჩამოწერის წესის დამტკიცების შესახებ.“ ეს საკითხი იურიდიულად დამუშავებულია, მაგრამ ჩვენ გვინდა შეიქმნას დროებითი სამუშაო ჯგუფი, მივმართოთ წერილობით მუნიციპალიტეტის მერს, რომელმაც უზრუნველყოს სპეციალისტების მოწვევა აღნიშნულ ჯგუფში და ერთად შევაჯეროთ წარმოდგენილი საკითხი.

ბიუროს წევრების მხრიდან შენიშვნები არ დაფიქსირებულა.

ასევე სიტყვა ითხოვა გიგა გოგიბერიძემ და აღნიშნა, რომ საკრებულოში შემოსულია მუქედის მოსახლეობის განცხადება, ითხოვენ მუქედში ადმინისტრაციულ ერთეულში დამისამართებულ N4 ქუჩისთვის და ამავე ქუჩის ჩიხისთვის ლავროსი ივანიაძის სახელის მინიჭებას, ხოლო სოფელ ზედა მუქედის N 10 ქუჩისთვის და ამავე ქუჩის ჩიხისთვის მიხეილ დვალიშვილის სახელის მინიჭებას.

ასევე შემოსულია დიხაშხოს მოსახლეობის განცხადება, ითხოვენ დიხაშხოში დამისამართებულ N6 ქუჩისთვის და ამავე ქუჩის ჩიხებისთვის დავით დვალიშვილის სახელის მინიჭებას.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ქონების მართვის, ეკონომიკურ საკითხებისა და ინფრასტრუქტურის კომისიამ განიხილა ეს საკითხები, მიმდინარეობს შესწავლა და ახლო მომავალში წარმოვადგენთ საკრებულოს სხდომაზე.

ბიუროს წევრების მხრიდან შენიშვნები არ დაფიქსირებულა.

დღის წესრიგით წარმოდგენილი საკითხების ამოწურვის შემდეგ საკრებულოს ბიუროს სხდომამ მუშაობა დაამთავრა.

**ალექსანდრე ლილუაშვილი**

**ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს**

**ბიუროს სხდომის თავმჯდომარე**